ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3167384

ნომერი: AR1488086

თარიღი : 20.03.2017

გაცემის თარიღი : 11.04.2017

გაცნობის თარიღი : 11.04.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა არტურ ლაისტი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მირზიაშვილი პ/ნ 01024025897
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 49

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 მარტს #AR1488086 განცხადებით მომართეს მამუკა მირზიაშვილმა და თორნიკე აბულაძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მაისის #ნ/1086 სანებართვო მოწმობასა და 2010 წლის 18 მაისის #1982 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის შეცვლასთან

დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 23 მაისის #20/394 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, მეგობრობის პარკის დასაწყისში შპს „ორთაჭალის ტურფა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 01 ნოემბრის #21/614 ბრძანებით შეთანხმებული შპს „ორთაჭალის ტურფა“-ს განაშენიანების პროექტის (განაშენიანების რეგულირების გეგმა) საფუძველზე #3, #5, #7 და #9 კორპუსების არქიტექტურული პროექტი და გაიცა 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 2009 წლის 11 დეკემბრის #4314 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2006 წლის 23 მაისის #20/394 ბრძანებასა და 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 მშენებლობის ნებართვაში მშენებლობის ვადასთან, ხოლო, სამსახურის 2010 წლის 18 მაისის #1982 ბრძანებით ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. სამსახურის 2010 წლის 18 მაისის #ნ/1086 ბრძანებით გაიცა #3 კორპუსის მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/1086-1). სამსახურის 2010 წლის 17 ნოემბრის #5695 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2010 წლის 18 მაისის #ნ/1086 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით. ხოლო, სამსახურის 2011 წლის 17 მაისის #1822 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება სამსახურის 2010 წლის 18 მაისის #ნ/1086 ბრძანებაში, კერძოდ, „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 19 ნოემბრამდე“ შეიცვალა ჩანაწერით „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 20 მაისის ჩათვლით“. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულია მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან გამომდინარე.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57–ე დადგენილების მე–20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, დღეის მდგომარეობით სამსახურის 2010 წლის 18 მაისის #ნ/1086 ბრძანება მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან გამომდინარე წარმოადგენს ძალადაკარგულ აქტს და ამასთან, პროექტის შეთანხმების სტადიაზე ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას (მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე დამკვეთს წარმოადგენს განმცხადებელი), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.